



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ24.24210368

თარიღი:05/02/2021

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85⁴ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტისა, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვალის N168 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
2. მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურს და მერიის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.
3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს N1 დანართის მიხედვით.
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18-საათამდე, საპროექტო წინადადებების მიღება დასრულდეს ადმინისტრაციულ ერთეულში კრების ჩატარებამდე 3 (სამი) დღით ადრე.
5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.
6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:

- იდა ქვარაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი. მობილურის ნომ.: 599 15 40 25, ელ. ფოსტა: ida.kvaraia@gmail.com.
- მამუკა ლოგუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე. მობილურის ნომ.: 591 44 53 63, ელ. ფოსტა: loguamamuka2@gmail.com.
- რუსლან კილასონია - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის კონსულტანტი ინფრასტრუქტურულ საკითხებში. მობილურის ნომ.: 595 22 03 33, ელ. ფოსტა: Rukilasonia@mail.ru.
- ირაკლი ფიფია - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანაშემწე. მობილურის ნომ.: 591 44 53 69, ელ.ფოსტა: irakli0478@gmail.ru.
- ნუკრი მარგველანი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილების უფროსი. მობილურის ნომ.: 595 22 51 29, ელ.ფოსტა: nukrimargvelani@gmail.com გოგა ჭანტურია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი. მობილურის ნომ.: 595 09 68 01, ელ.ფოსტა: goga.chanturia90@mail.ru
- 7. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კრებები და კონსულტაციები ჩატარდება, მთავრობის მიერ განსაზღვრული წესების მიხედვით ქვეყანაში არსებული covid-19 პანდემიიდან გამომდინარე.
- 8. ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 54-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად.
- 9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

გიორგი შენგელია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

